**ბესიკ ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ მურღულია,
დავით ლომიტაშვილი, ნინო ხუციშვილი**

ლაზიკაში მდგარი ბიზანტიური სამხედრო დანაყოფების ეთნიკური შემადგენლობის საკითხი ახალი არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე

სტატიაში მოცემული კვლევა განხორციელდა
შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით
[გრანტის ნომერი FR-22-117]

ნოქალაქევის ნაქალაქარზე სისტემური არქეოლოგიური სამუშაოები 1973 წლიდან მიმდინარეობს. არქეოლოგიურ ექსპედიციას საფუძველი ჩაეყარა აკადემიკოს პარმენ ზაქარაის მიერ. 1973 წლიდან 1991 წლამდე სამუშაოები ტარდებოდა ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის შუა საუკუნეების არქეოლოგიური განყოფილების ექსპედიციის მიერ. 1973-1989 წლის გათხრების შედეგები გამოქვეყნებულია სამ ტომად.[1]

საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ნოქალაქევის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზაზე, 2001 წლიდან ქართულ-ინგლისური ექსპედიცია შეიქმნა, რომელიც დღესაც წარმატებულ საველე არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას აწარმოებს. 2001 წლიდან დღემდე ქართულ-ინგლისურ ექსპედიციაში ქართველ სპეციალისტებთან და სტუდენტებთან ერთად ბრიტანეთის მხრიდან მონაწილეობა მიიღეს ოქსფორდის, კემბრიჯის, საუთჰემპტონის, ბრედფორდის და ვინჩესტერის უნივერსიტეტების სტუდენტებმა და არქეოლოგებმა. ექსპედიციის ფარგლებში 2001 წლიდან დღემდე ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე შესწავლილ იქნა 5 უბანი. დღეისათვის სამუშაოები გრძელდება 2 უბანზე.

2019 წელს ნოქალაქევის ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე, აღმოსავლეთ გალავნებისა და ქალაქის მთავარი ჭიშკრის მიმდებარედ, VI საუკუნის კიბის ქვეშ გაჭრილ G თხრილში (სურ. 1), ადრე შუა საუკუნეების კულტურულ ფენაში (კონტექსტი 130) აღმოჩნდა ნივთი, რომელიც ერთი შეხედვით სამკაულს წააგავდა, თუმცა მოგვიანებით დადგინდა, რომ ეს ორწილადი

[1] ზაქარაია, *ნოქალაქევში 1973-1977 წლებში ჩატარებული სამუშაოების საერთო ანგარიში*, გვ. 77-119; ზაქარაია, *ნოქალაქევში 1978-1982 წლებში ჩატარებული სამუშაოების საერთო ანგარიში*, გვ. 47-89; ზაქარაია, *ნოქალაქევში 1983-1988 წლებში ჩატარებული სამუშაოების საერთო ანგარიში*, გვ. 13-91.

ბალთის ფრაგმენტია.[1] ბალთის ენა და ჩამკეტი მექანიზმი დაკარგულია, შემორჩენილია მხოლოდ ტყავზე დასამაგრებელი ნაწილი (სურ. 2). თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ანალოგიური ბალთა საქართველოს ტერიტორიაზე აქამდე არ აღმოჩენილა. მხოლოდ მეტ-ნაკლებად მსგავსი ბალთაა ნაპოვნი აფხაზეთში, წებელდაში, კერძოდ ლარის სამარხში.[2]

ბალთის შემორჩენილი ნაწილი მართკუთხა ფორმისაა. ზომები: სიმაღლე – 3,4 სმ.; სიგანე – 2,3 სმ.; სისქე – 0,4 სმ. დამზადებულია ბრინჯაოსგან, როგორც ჩანს, თავის დროზე ის მოოქროვილი ყოფილა (კიდეებზე შემორჩენილი აქვს ოქროს კვალი). ბალთა მორთული ყოფილა ფერადი მინებით. კომპოზიცია შედგენილია ბრინჯაოს ტიხრებით დანაწილებული ცხრა ნაწილისგან, რომელიც საერთო მართკუთხა, ამობურცულ ჩარჩოშია მოქცეული. მათგან ზედა და ქვედა 2-2 ნაწილი მართკუთხაა. სამწუხაროდ, არც ერთ მათგანში არ არის შემორჩენილი მინის კვალი. შუაგულში რომბისებური ჩანართია, რომელსაც გარშემო ოთხი სამკუთხა მონაკვეთი საზღვრავს. მათგან მხოლოდ ერთშია შერჩენილი ჩასმული მუქი წითელი მინის ფირფიტა, დანარჩენი სამი ცარიელი სამკუთხა ნაწილიდან ერთ-ერთის სიღრმეში შერჩენილია თეთრი მასა, რომელიც სავარაუდოდ, მინის დასაფიქსირებლად გამოყენებული წებოს კვალი უნდა იყოს. ასეთივე თეთრი ლაქაა შერჩენილი ერთ-ერთი მართკუთხა ნაწილის სიღრმეშიც. ეს კი საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სიღრმეებში მინა კი არ ჩაასხეს, არამედ ჩასვეს და წებოთი გაამაგრეს.

ნოქალაქევში აღმოჩენილ ნივთზე შუა რომბისებური ნაწილი შევსებულია თეთრი ფერის საგოზავით, რომელიც შუაში ამოჭრილია ოთხყურა ფოთლის (კვადრიფოლიუმის) ფორმით და შიგნით ჩასმულია მწვანე ფერის მინა. რომბის ცენტრალურ კომპოზიციას გარშემო ოთხი მცირე ფოთლისებური ჩაღრმავება შემოუყვება, რომლებიც რომბის კუთხეებისკენაა მიშვერილი. სამწუხაროდ, მათგან მხოლოდ ერთშია შემორჩენილი, შიგ ჩასმული მუქი წითელი ფერის, გაუმჭვირვალე მინა.

ბალთის დეტალს, ამობურცული ჩარჩოს გარეთ, კიდეებზე, სამი მხრიდან 2 მმ. დიამეტრის გამჭოლი ნახვრეტები აქვს, მათში გაყრილი მოქლონების საშუალებით ბალთის მყარი ნაწილი ტყავის ქამარზე იყო მიმაგრებული. ხოლო მეოთხე მხრიდან შეინიშნება ქამრის გასაყრელი რგოლის ჩამოსაცმელი ანჯამის ორი შვერილი.

როგორც უკვე აღინიშნა, ნივთის აღმოჩენისას, პირველადი ინტერპრეტაციით ის სამკაულის ნაწილი უნდა ყოფილიყო, თუმცა მოგვიანებით კამერალური და საბიბლიოთეკო სამუშაოების შედეგად მოხერხდა ნოქალაქევში აღმოჩენილი ნივთის ანალოგის მოძიება, რამაც საშუალება მოგვცა ნივთის რეალური დანიშნულება გაგვერკვია. მსგავსი ნივთის მოძიებას ხელს ისიც უშლიდა, რომ, როგორც ითქვა, საქართველოში ასეთი ნივთი

---

[1] მურღულია (და სხვა), *2019 წლის ნოქალაქევის ექსპედიციის ანგარიში*, გვ. 21-22, სურ. 5.

[2] Воронов, *Тайна Цебельдинской долины*, გვ. 78-79, სურ. 22.11.

აქამდე არც ერთ ისტორიულ ძეგლზე არ აღმოჩენილა, შესაბამისად, ანალოგი საძიებელი იყო საზღვარგარეთ. კვლევის შედეგად, დადგინდა, რომ ასეთივე ბალთა დაცულია მაინცის რომაულ-გერმანულ ცენტრალურ მუზეუმში. ცნობილი მკვლევარი მეჰტჰილდ შულცე-დოერლამი მის ცნობილ კატალოგში „ბიზანტიური ქამრის ბალთები და ქამრის მოჭედილობა რომაულ-გერმანულ ცენტრალურ მუზეუმში“ მსგავსი ტიპის ბალთას მისივე შექმნილი კლასიფიკაციის C15 ტიპში (ოვალური ბალთები ტიხრული მინანქრის მართკუთხა მოჭედილობით) ათავსებს და ასე აღწერს – C15 ტიპის მოოქროვილი ბრინჯაოს ქამრის ბალთა. ენა დაკარგული აქვს. მოჭედილია სამნაწილიანი ტიხრული შემკულობით: ორი ვიწრო განაპირა ზოლი ურთიერთშებრუნებული სამკუთხედებისგანაა შედგენილი, ზიგზაგისებრი ორნამენტით ღია და მუქი მწვანე ფერის მინის ჩანართებით; ცენტრალურ ველს ამშვენებს დიდი რომბი, რომელიც შევსებულია თეთრი ფერის საგოზავით. მასში ჩაწებებულია კვადრიფოლიუმის ფორმის მწვანე ფერის მინის ფირფიტა და წითელი ფერის გაუმჭვირვალე მინის ოთხი ციცქნა რგოლი. დიდი რომბის გარშემო განლაგებული ოთხი სამკუთხა უბიდან ორი ზედა შევსებულია ლურჯი, ხოლო ორი ქვედა – წითელი ფერის მინის ფირფიტებით.

ბალთის სრული სიგრძეა – 4,8 სმ., რკალის სიმაღლე – 4,3 სმ., მოჭედილობის სიმაღლე – 3,7 სმ., კოლოფის სისქე (ჩარჩოს/ბუდის გარეშე) – 0,4 სმ. (სურ. 3).[1]

როგორც აღწერილობიდან და სურათებიდან ჩანს, არის მცირე სხვაობა ნოქალაქევში აღმოჩენილ ბალთასა და მაინცის მუზეუმში დაცულ ბალთას შორის. კერძოდ, ჩვენ ცალს დაკარგული აქვს ქამრის რგოლი და ენა, ასევე უმეტეს შემთხვევაში, ბუდეებში ჩასმული მინის ფირფიტები დაკარგულია. ასევე, ნოქალაქევის ბალთას ზედა და ქვედა მართკუთხა ჩაღრმავებები სადა აქვს და მხოლოდ ორად იყოფა ტიხრით, მაშინ როცა მაინცის მუზეუმის ბალთის განაპირა ზოლები ზიგზაგისებური ტიხრებითაა შევსებული. მცირე სხვაობაა ზომებშიც. ნოქალაქევის ბალთის შემორჩენილი ნაწილის („კოლოფის“) ზომებია: სიმაღლე – 3,4 სმ.; სიგანე – 2,3 სმ.; სისქე – 0,4 სმ. ხოლო მაინცის მუზეუმის ბალთის – სიმაღლე – 3,7 სმ.; სიგანე – 2,65 სმ., სისქე – 0,4 სმ. ანუ მხოლოდ 3 მმ-ით დიდია მაინცის ბალთა, რაც ცხადია უმნიშვნელო სხვაობაა.

ახლა რაც შეეხება ბალთის წარმომავლობას. მაინცის მუზეუმში დაცული ბალთა მცირე აზიიდანაა, ავტორი ზუსტ მდებარეობას არ უთითებს, თუმცა რუკაზე მონიშნულია ადგილი კონსტანტინოპოლის სიახლოვეს, აღმოსავლეთით.[2]

---

[1] Schulze-Dörrlam, *Byzantinische Gürtelschnallen und Gürtelbeschläge*, გვ. 124, ბალთა 99, ტაბ. 3,1.

[2] Schulze-Dörrlam, *Byzantinische Gürtelschnallen und Gürtelbeschläge*, გვ. 128, სურ. 47 (რუკა).

როგორც უკვე აღინიშნა, მ. შულცე-დოერლამი ახსენებს აფხაზეთში, წებელდაში, კერძოდ ლარის სამარხში აღმოჩენილ ბალთასაც, რომელიც მეტ-ნაკლებად წააგავს ნოქალაქევში გამოვლენილ ბალთას, თუმცა ბევრად მარტივი ორნამენტითაა მორთული (სურ. 4) და იქვე აღნიშნავს, რომ ეს ბალთა მეტ მსგავსებას B11 ტიპის ბრინჯაოს ბალთებთან ავლენს.[1] აღნიშნული ბალთა გამოქვეყნებული აქვს რუს მეცნიერს ი. ვორონოვს მის ნაშრომში "Тайна Цебельдинской долины", სადაც მკვლევარი აღნიშნულ მოოქროვილ ბრინჯაოს ბალთას, ბრტყელი ტიხრებითა და სხვადასხვა ფერის მინის ინკრუსტაციით, VI საუკუნის მეორე ნახევრითა და VII საუკუნის პირველი ნახევრით ათარიღებს და წარმომავლობად აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთს, კერძოდ სირიას განსაზღვრავს.[2]

მ. შულცე-დოერლამის ნაშრომის მიხედვით, ზოგადად, C15 ტიპის ბალთები გამოვლენილია, ეგვიპტეში, აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთში (სირიაში, პალესტინაში), დასავლეთ შავი ზღვისპირეთში, იტალიაში, სიცილიაზე, გერმანიასა და საფრანგეთში. მკვლევარი აღნიშნავს, რომ მაინცის კოლექციაში დაცული C15 ტიპის ბალთების უმეტესობა მოოქროვილია და შემკულია ფერადი ჩანართებით, შესაბამისად, საკმაოდ მდიდრულად გამოიყურება. შესაძლებელია, რომ ეს ბალთები ბიზანტიის არმიის ჯარისკაცებისთვის წოდების ნიშნის ფუნქციას ასრულებდა. იქნებ შტრაუბინგში და მეტცის შემოგარენში ნაპოვნი ქამრის ბალთები ოდესღაც დაქირავებულ გერმანული წარმოშობის მეომრებს ეკუთვნოდათ, რომლებიც სამსახურის დასრულების შემდეგ სამშობლოში დაბრუნდნენ და იქ დაიკრძალნენ.[3]

მ. შულცე-დოერლამი მისივე შედგენილ კლასიფიკაციაზე დაყრდნობით განიხლავს C15 ტიპის ბალთების შემადგენელ ნაწილებს, ფორმებს, მასალებს და მორთულობის ტიპს და ვარაუდობს, რომ მათი ბრტყელ-ოვალური რკალი, ალმანდინის ინკრუსტაციების სიმცირე და მინის ან მინანქრის ჩანართები იმაზე მიუთითებს, რომ ეს ნაკეთობები V საუკუნის ბოლოს – VI საუკუნის დასაწყისშია შექმნილი.[4]

ჩვენი კვლევისათვის განსაკუთრებით საინტერესოა, რომ გერმანელი მკვლევარის დაკვირვებით C15 ტიპის ბიზანტიური ქამრის ბალთები, არ წარმოადგენს ქალის სამოსის ელემენტებს, არამედ ხმლის ქამრებს ეკუთვნის, რომლებიც V საუკუნის მეორე ნახევრითა და VI საუკუნის დასაწყისით თარიღდება. დღემდე ამ ტიპის არცერთი ბალთა არ გამოვლენილა ქალის სამარხში, მაშინ როდესაც ორი ეგზემპლარი მეომართა სამარხებშია ნაპოვნი.[5]

---

[1] Schulze-Dörrlam, *Byzantinische Gürtelschnallen und Gürtelbeschläge*, გვ. 126.
[2] Воронов, *Тайна Цебельдинской долины*, გვ. 78-79, სურ. 22.11.
[3] Schulze-Dörrlam, *Byzantinische Gürtelschnallen und Gürtelbeschläge*, გვ. 129.
[4] Schulze-Dörrlam, *Byzantinische Gürtelschnallen und Gürtelbeschläge*, გვ. 126.
[5] Schulze-Dörrlam, *Byzantinische Gürtelschnallen und Gürtelbeschläge*, გვ. 126.

დასკვნით ნაწილში მკვლევარი იმასაც კი ვარაუდობს, რომ რადგან ამ ბალთების (მოოქროვილი ბალთები მინის ინკრუსტაციით) შესამკობად არა ძვირფასი ქვები, არამედ ფერადი მინაა გამოყენებული, ისინი არ ეკუთვნოდა უშუალოდ ბიზანტიის საიმპერატორო არისტოკრატიას, რომელიც უფრო მეტად ძვირფას ქვებს იყენებდა საკუთარი ნივთების მოსაპირკეთებლად, არამედ, შესაძლოა ისინი ყოფილიყო ბიზანტიის იმპერიაში მცხოვრები და მოსამსახურე მაღალი რანგის უცხოტომელების, მათ შორის ოსტგოთების საკუთრება. ამის თქმის საფუძველს მეცნიერს აძლევს რამდენიმე კონკრეტული სამარხი, რომლებშიც აშკარად ოსტგოთი მეომრები იყვნენ დაკრძალული.[1]

ბუნებრივია ისმის კითხვა, როგორ უნდა მოხვედრილიყო აღნიშნული ბალთის ნაწილი ნოქალაქევის ნაქალაქარის ადრე შუა საუკუნეების ფენაში?

როგორც ცნობილია, ეგრისის ზღვისპირა ქალაქებსა და ციხე-სიმაგრეებში ჯერ რომთან, შემდეგ ბიზანტიასთან, ურთიერთობების ხასიათის ცვალებადობის შესაბამისად I საუკუნის ბოლოდან დროგამოშვებით რომაული და შემდეგ ბიზანტიური სამხედრო დანაყოფები იდგნენ. რაც შეეხება ქვეყნის შიდა რეგიონებს, აქ ბიზანტიური ჯარი დროგამოშვებით შემოდიოდა: მაგალითად, V საუკუნის 50-60-იან წლებში ჯერ აჯანყებული მეფის გუბაზ I-ის, ხოლო შემდეგ ეგრისში (ლაზიკაში) შემოჭრილი სპარსელების და იბერიელების წინააღმდეგ. თუმცა იბერიელების და სპარსელების ქვეყნიდან გასვლის შემდეგ, ბიზანტიური არმია უკან, სომხეთში გაბრუნდა.[2] ასევე, 523 წელს ეგრისის მეფე წათე ბიზანტიელთა მხარეს გადავიდა და ქრისტიანობა მიიღო. ამის საპასუხოდ, სპარსეთის შაჰმა კავად I-მა (488-496, 499-531 წწ.) მას ომი დაუწყო. წათემ დასახმარებლად ბიზანტიის იმპერატორს, იუსტინიანე I-ს (527-565 წწ.) მიმართა, რომელმაც სამი სტრატილატის, გილდერიხის, კერიკეს და ირინეოსის მეთაურობით მას დიდი ჯარი გამოუგზავნა, თუმცა ეს ჯარიც მალევე უკან სამშობლოში დაბრუნდა.[3]

ბიზანტიური ჯარის რაოდენობა ეგრისის (ლაზიკის) ქალაქებში VI საუკუნის 30-იანი წლებიდან მკვეთრად გაიზარდა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანე I-მა და ირანის შაჰმა ხოსრო I ანუშირვანმა (531-579 წწ.) 532 წელს ე. წ. „უვადო ზავი“ დადეს. იუსტინიანე ზავის იმედად არ დარჩენილა და ომის სამზადისს მიჰყო ხელი. მან დამატებითი ჯარები ჩააყენა ეგრისში. ბიზანტიელებმა ქალაქების და ციხესიმაგრეების გამაგრება დაიწყეს. ამ პერიოდში აიგო ციხე-სიმაგრე ლოსორიონი, დაფუძნდა ქალაქი პეტრა, ქვეყანაში შემომავალი ვიწრო შემოსასვლელები, კლისურები გამაგრდა, განახლდა ციხე-სიმაგრე სებასტოპოლისის ზღუდეები და სხვა სასიმაგრო ნაგებობები.[4] იუსტინანეს დროს, სხვა თავდაცვით ნაგებობებთან (მაგ. კოშკები) აიგო

[1] Schulze-Dörrlam, *Byzantinische Gürtelschnallen und Gürtelbeschläge*, გვ. 142-145.
[2] პრისკე პანიონელი, *გუთების ისტორია,* გვ. 254, 261-262.
[3] იოანე მალალა, *ქრონოგრაფია*, გვ. 267.
[4] პროკოპი კესარიელი, *De Aedificiis*, გვ. 220-222.

ეგრისის მთავარი ქალაქის, ციხეგოჯი-არქეოპოლისის მესამე გალავანი და ის „სამზღუდე“ გახდა.[1] იმპერატორმა გარნიზონები ჩააყენა ეგრისის ისეთ მოშორებულ სიმაგრეებშიც კი, როგორებიცაა სკანდა და შორაპანი.[2] ბიზანტია-სასანური ირანის 540-562 წლების ომის დროს ციხეგოჯ-არქეოპოლისში ბიზანტიელთა 3000 კაციანი ჯარი იდგა.[3] ქალაქებსა და ციხე-სიმაგრეებში მდგარი ჯარის ნაწილების გარდა ეგრისში ბიზანტიელთა სამხედრო ბანაკებიც შეიქმნა (მაგალითად, არქეოპოლისთან, ნესოსთან, ფაზისთან და ა. შ.).[4]

ბიზანტიურ ჯარში ამ პერიოდში, ისე როგორც ადრერომაულში, დიდ როლს ასრულებდნენ ე. წ. „ბარბაროსი გენერლები“, მხედართმთავრები. ამ სამხედრო მეთაურებს შორის, არაბიზანტიური წარმოშობის სომხები, სირიელები, თრაკიელები, სლავები, გერმანელები (ჰერულები, გოთები, ლანგობარდები, გეპიდები) და სხვა ეროვნების წარმომადგენლები მრავლად იყვნენ.[5] წერილობით წყაროებში დასახელებული, ლაზიკაში მეომარი ბიზანტიელი მხედართმთავრების უმეტესობა სწორედ ე. წ. „ბარბაროს გენერლებს“ წარმოადგენდნენ. ჯერ კიდევ წათეს მეფობის დროს, ირანელების წინააღმდეგ იუსტინიანეს მიერ მის დასახმარებლად გაგზავნილი ჯარის მეთაურებს შორის იხსენიება გილდერიხი,[6] სახელიდან გამომდინარე უნდა ვივარაუდოთ, რომ ის რომელიმე გერმანული ტომის წარმომადგენელი იყო. 549-550 წლებში, ლაზიკაში ბიზანტიური ჯარების მეთაური, დაგისთე სავარაუდოდ გოთი იყო.[7] მის შემცვლელს, 550 წლიდან ლაზიკაში ბიზანტიური ჯარების მეთაურს ბესას, პროკოპი კესარიელი გოთად მიიჩნევს,[8] თუმცა შესაძლოა თრაკიელი იყო.[9] ბიზანტიური ჯარის კიდევ ერთი მხედართმთავარი, ულიგაგე ჰერული იყო.[10] ამავე გერმანული ტომის წარმომადგენელი ან ლანგობარდი უნდა ყოფილიყო ნესოსთან დაბანაკებული და შემდეგ ქალაქ ფაზისის დაცვის მონაწილე, ჰერულთა და ლანგობარდთა რაზმის წინამძღოლი გიბრე.[11] გეპიდი (ერთ-ერთი გერმანული ტომი) იყო 550 წელს მდ.

---

[1] მურღულია, *ნოქალაქევი-არქეოპოლისის მშენებლობის ქრონოლოგია*, გვ. 68-73.
[2] პროკოპი კესარიელი, *De bello Gothiko*, გვ. 185-186.
[3] პროკოპი კესარიელი, *De bello Gothiko*, გვ. 183.
[4] პროკოპი კესარიელი, *De bello Gothiko*, გვ. 187-188, 204; აგათია სქოლასტიკოსი, *იუსტინიანეს მეფობის შესახებ*, გვ. 53, 59, 90-91, 93-95.
[5] ხოფერია, *გვიანანტიკური საქართველოს სამხედრო საქმე*, გვ. 105-113.
[6] იოანე მალალა, *ქრონოგრაფია*, გვ. 267.
[7] ხოფერია, *იუსტინიანეს ბარბაროსი მხედართმთავრები ლაზიკის ომში*, გვ. 78-83; ხოფერია, *გვიანანტიკური საქართველოს სამხედრო საქმე*, გვ. 138-145.
[8] პროკოპი კესარიელი, *ომი სპარსელებთან*, გვ. 55.
[9] ხოფერია, *იუსტინიანეს ბარბაროსი მხედართმთავრები ლაზიკის ომში*, გვ. 61-63; ხოფერია, *გვიანანტიკური საქართველოს სამხედრო საქმე*, გვ. 114-137.
[10] პროკოპი კესარიელი, *De bello Gothiko*, გვ. 155; აგათია სქოლასტიკოსი, *იუსტინიანეს მეფობის შესახებ*, გვ. 54.
[11] აგათია სქოლასტიკოსი, *იუსტინიანეს მეფობის შესახებ*, გვ. 100-101; ხოფერია, *იუსტინიანეს ბარბაროსი მხედართმთავრები ლაზიკის ომში*, გვ. 87; ხოფერია, *გვიანანტიკური საქართველოს სამხედრო საქმე*, გვ. 148, 152.

ცხენისწყალთან გამართულ ბრძოლაში ბიზანტიელთა ჯარის ერთ-ერთი მეთაური, ფილეგაგე.[1] ამავე ბრძოლაში მონაწილეობდა სომეხი არტაბანი, რომლის მხლებელმა გოთმა მეომარმა ის სიკვდილისგან გადაარჩინა.[2] 555 წელს, ირანელი სარდლის ნახორაგანის ფაზისის წინააღმდეგ ლაშქრობისას, მდინარე რიონთან მოდარაჯე ბიზანტიურ რაზმს მეთაურობდნენ წარმოშობით ანტი (სლავური ტომი) დაბრაგეზა და ჰუნი ელმინგირე. ლაზიკის ომში მონაწილეობს დაბრაგეზას ვაჟი, ლეონტიც.[3]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არქეოპოლისს სამიათასკაციანი ბიზანტიური გარნიზონი იცავდა. ამ გარნიზონის მეთაურები იყვნენ ოდონაქე და ბაბა.[4] ოდონაქე და ბაბა თრაკიელები იყვნენ, ისევე როგორც სხვა ბიზანტიელი სარდლები ბუზე და მისი ძმა ვენილე. სრულიად აშკარაა, რომ არქეოპოლისში ბიზანტიური სამხედრო დანაყოფები VI საუკუნის 30-იანი წლებიდან მუდმივად იდგნენ. ეს მდგომარეობა შემდგომშიც გაგრძელდა. ამის დასტურია 1930-1931 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ნაქალაქარის ერთ-ერთ (ე. წ. „შნაიდერის“) კოშკში იმპერატორ მავრიკ ტიბერიუსის (582-602 წწ.) სახელზე მოჭრილი 23 ცალი ოქროს მონეტის აღმოჩენა, რომელიც ვფიქრობთ, რომ ბიზანტიური ჯარის მაღალჩინოსნის ხელფასი უნდა ყოფილიყო. ბიზანტიელი მემატიანის ცნობით, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს ლაზიკაში მშვიდობა სუფევდა, ბიზანტიური ჯარი მაინც იდგა და „თვითმპყრობელმა (მავრიკიმ), ჩვეულებისამებრ ოქრო გააგზავნა ჯარისთვის დასარიგებლად“.[5] ასეთი გარნიზონები შემდგომშიც, VII-VIII საუკუნეებშიც უნდა მდგარიყო.

რატომ მოვიყვანეთ მაგალითები ბიზანტიური ჯარის მხედართმთავრების შესახებ? ჩვენი აზრით, ნოქალაქევში გამოვლენილი „ოსტგოთური“ ბალთა ბიზანტიური არმიის ერთ-ერთ მაღაჩინოსანს, სავარაუდოდ რომელიმე გერმანული ტომის (ოსტგოთი, ჰერული, გეპიდი და ა. შ.) წარმომადგენელს ეკუთვნოდა.

---

[1] პროკოპი კესარიელი, *De bello Gothiko*, გვ. 149, 152; ხოფერია, *იუსტინიანეს ბარბაროსი მხედართმთავრები ლაზიკის ომში*, გვ. 88; ხოფერია, *გვიანანტიკური საქართველოს სამხედრო საქმე*, გვ. 153-155.

[2] პროკოპი კესარიელი, *De bello Gothiko*, გვ. 151-152.

[3] აგათია სქოლასტიკოსი, *იუსტინიანეს მეფობის შესახებ*, გვ. 103, 168; ხოფერია, *იუსტინიანეს ბარბაროსი მხედართმთავრები ლაზიკის ომში*, გვ. 89-90; ხოფერია, *გვიანანტიკური საქართველოს სამხედრო საქმე*, გვ. 156-158.

[4] პროკოპი კესარიელი, *De bello Gothiko*, გვ. 183, 191; აგათია სქოლასტიკოსი, *იუსტინიანეს მეფობის შესახებ*, გვ. 95.

[5] თეოფილაქტე სიმოკატტა, *ისტორია*, გვ. 20.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა
Cited Sources and Literature

აგათია სქოლასტიკოსი, *იუსტინიანეს მეფობის შესახებ* – აგათია სქოლასტიკოსი, *იუსტინიანეს მეფობის შესახებ*, ბეორგიკა, ტ. III, 1936, გვ. 23-187

(**Agathias Scholasticus, *On the Reign of Justinian*** – Agathias Scholasticus, *On the Reign of Justinian*, In: "Georgica: Byzantine Writers' Accounts about Georgia", Published with Greek text and Georgian translation with commentary by S. Qaukhchishvili, Vol. III, Tbilisi, 1936, pp. 23-187).

თეოფილაქტე სიმოკატტა, *ისტორია* – თეოფილაქტე სიმოკატტა, *ისტორია*, ბეორგიკა, ტ. IV, ნაკვ. I, 1941, გვ. 17-37

(**Theophylact Simocatta, *History*** – Theophylact Simocatta, *History*, In: "Georgica: Byzantine Writers' Accounts about Georgia", Published with Greek text and Georgian translation with commentary by S. Qaukhchishvili, Vol. IV, Part I, Tbilisi, 1941, pp. 17-37).

იოანე მალალა, *ქრონოგრაფია* – იოანე მალალა, *ქრონოგრაფია*, ბეორგიკა, ტ. III, 1936, გვ. 260-271

(**John Malalas, *Chronographia*** – John Malalas, *Chronographia*, In: "Georgica: Byzantine Writers' Accounts about Georgia", Published with Greek text and Georgian translation with commentary by S. Qaukhchishvili, Vol. III, Tbilisi, 1936, pp. 260-271).

პრისკე პანიონელი, *გუთების ისტორია* – პრისკე პანიონელი, *გუთების ისტორია*, ბეორგიკა, ტ. I, 1961, გვ. 249-263

(**Priscus of Panium, *History of the Goths*** – Priscus of Panium, *History of the Goths*, In: "Georgica: Byzantine Writers' Accounts about Georgia", Texts translated into Georgian and annotated by Al. Gamkrelidze and S. Qaukhchishvili, Vol. I, Tbilisi, 1961, pp. 249-263).

პროკოპი კესარიელი, *De Aedificiis* – პროკოპი კესარიელი, *Aedificiis*, ბეორგიკა, ტ. II, 1965, გვ. 213-223

(**Procopius of Caesarea, *De Aedificiis*** – Procopius of Caesarea, *De Aedificiis*, In: "Georgica: Byzantine Writers' Accounts about Georgia", Published with Georgian translation and commentary by S. Qaukhchishvili, Vol. II, Tbilisi, 1965, pp. 213-223).

პროკოპი კესარიელი, *De bello Gothiko* – პროკოპი კესარიელი, *De bello Gothiko*,ბეორგიკა, ტ. II, 1965, გვ. 118-212

(**Procopius of Caesarea, *De Bello Gothico*** – Procopius of Caesarea, *De Bello Gothico*, In: "Georgica: Byzantine Writers' Accounts about Georgia", Published with Georgian translation and commentary by S. Qaukhchishvili, Vol. II, Tbilisi, 1965, pp. 118-212).

პროკოპი კესარიელი, *ომი სპარსელებთან* – პროკოპი კესარიელი, *ომი სპარსელებთან* (ორ წიგნად), წიგნი I, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, კომენტარები და საძიებელი დაურთო ჯ. შოშიაშვილმა, თბილისი, 2020

(**Procopius of Caesarea, *The War with the Persians*** – Procopius of Caesarea, *The War with the Persians* (in two books), Book I, Translated from Ancient Greek, with commentary and index by J. Shoshiashvili, Tbilisi, 2020).

ზაქარაია, ნოქალაქევში 1973-1977 წლებში ჩატარებული სამუშაოების საერთო ანგარიში – ზაქარაია პ., *ნოქალაქევში 1973-1977 წლებში ჩატარებული სამუშაოების საერთო ანგარიში*, კრებ. „ნოქალაქევი-არქეოპოლისი, I, არქეოლოგიური გათხრები, 1973-1977“, რედ. პ. ზაქარაია, თბილისი, 1981, გვ. 77-119

(**Zakaraia, *General Report of the Work Conducted in Nokalakevi in 1973-1977*** – Zakaraia P., *General Report of the Work Conducted in Nokalakevi in 1973-1977*, In: Collection of works “Nokalakevi-Archeopolis I: Archaeological Excavations, 1973-1977”, Ed. P. Zakaraia, Tbilisi, 1981, pp. 77-119).

ზაქარაია, ნოქალაქევში 1978-1982 წლებში ჩატარებული სამუშაოების საერთო ანგარიში – ზაქარაია პ., *ნოქალაქევში 1978-1982 წლებში ჩატარებული სამუშაოების საერთო ანგარიში*, კრებ. „ნოქალაქევი-არქეოპოლისი, II, არქეოლოგიური გათხრები, 1978-1982“, რედ. პ. ზაქარაია, თბილისი,1987, გვ. 47-89

(**Zakaraia, *General Report of the Work Conducted in Nokalakevi in 1978-1982*** – Zakaraia P., *General Report of the Work Conducted in Nokalakevi in 1978-1982*, In: Collection of works “Nokalakevi-Archeopolis II: Archaeological Excavations, 1978-1982”, Ed. P. Zakaraia, Tbilisi, 1987, pp. 47-89).

ზაქარაია, ნოქალაქევში 1983-1988 წლებში ჩატარებული სამუშაოების საერთო ანგარიში – ზაქარაია პ., *ნოქალაქევში 1983-1988 წლებში ჩატარებული სამუშაოების საერთო ანგარიში*, კრებ. „ნოქალაქევი-არქეოპოლისი, III, არქეოლოგიური გათხრები 1983-1989“, რედ. პ. ზაქარაია, თბილისი, 1993, გვ.13-91

(**Zakaraia, *General Report of the Work Conducted in Nokalakevi in 1983-1988*** – Zakaraia P., *General Report of the Work Conducted in Nokalakevi in 1983-1988*, In: Collection of works “Nokalakevi-Archeopolis III: Archaeological Excavations, 1983-1989”, Ed. P. Zakaraia, Tbilisi, 1993, pp. 13-91).

მურღულია, ნოქალაქევი-არქეოპოლისის მშენებლობის ქრონოლოგია – მურღულია ნ., *ნოქალაქევი-არქეოპოლისის მშენებლობის ქრონოლოგია*, კმ, ტ. 16, 2007, გვ. 68-73

(**Murgulia, *Chronology of the Construction of Nokalakevi-Archeopolis*** – Murgulia N., *Chronology of the Construction of Nokalakevi-Archeopolis*, “K’avk’asiis Matsne” [“Caucasian Messenger”], Vol. 16, 2007, pp. 68-73).

მურღულია (და სხვა), 2019 წლის ნოქალაქევის ექსპედიციის ანგარიში – მურღულია ნ., ლომიტაშვილი დ., ლორთქიფანიძე ბ., ქებულაძე ნ., ევერილი პ., ქოლვინი ი., ნინიაშვილი თ., ალანია დ., ხუციშვილი ნ., *2019 წლის ნოქალაქევის ქართულ-ინგლისური არქეოლოგიური ექსპედიციის მოკლე ანგარიში*, კრებ. „2019 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე

ანგარიშების კრებული“, მთავარი რედ. ნ. ანთიძე, კულტურული მემკვიდ-
რეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, თბილისი, 2020, გვ. 19-26
(**Murgulia [et al.], *2019 Nokalakevi Expedition Report*** – Murgulia N., Lomitashvili D., Lortkipanidze B., Kebuladze N., Everill P., Colvin I., Niniashvili T., Alania D., Khutsishvili N., *Brief Report of the 2019 Georgian-British Archaeological Expedition in Nokalakevi*, In: “Collected Brief Reports of Archaeological Excavations Conducted in 2019”, Chief Editor N. Antidze, National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia, Tbilisi, 2020, pp. 19-26).

ხოფერია, *გვიანანტიკური საქართველოს სამხედრო ისტორია* – ხოფერია ნ., *გვიანანტიკური საქართველოს სამხედრო ისტორია*, II, თბილისი, 2019
(**Khoperia, *Military History of Late Antique Georgia*** – Khoperia N., *Military History of Late Antique Georgia*, Vol. II, Tbilisi, 2019).

ხოფერია, *იუსტინიანეს ბარბაროსი მხედართმთავრები ლაზიკის ომში* – ხოფერია ნ., *იუსტინიანეს ბარბაროსი მხედართმთავრები ლაზიკის ომში (541-562)*, სპ, ტ. 4, 2014, გვ. 54-92
(**Khoperia, *Justinian’s Barbarian Generals in the Lazic War*** – Khoperia N., *Justinian’s Barbarian Generals in the Lazic War (541–562)*, “Saist’orio K’rebuli” [“Historical Collections]”, Vol. 4, 2014, pp. 54-92).

Schulze-Dörrlam, *Byzantinische Gürtelschnallen und Gürtelbeschläge* – Schulze-Dörrlam M., *Byzantinische Gürtelschnallen und Gürtelbeschläge im Römisch-Germanischen Zentralmuseum*, Teil I, Mainz, 2009
(**Schulze-Dörrlamm, *Byzantine Belt Buckles and Belt Fittings*** – Schulze-Dörrlamm M., *Byzantine Belt Buckles and Belt Fittings in the Romano-Germanic Central Museum*, Part I, Mainz, 2009).

Воронов, *Тайна Цебельдинской долины* – Воронов Ю., *Тайна Цебельдинской долины*, Москва, 1975
(**Voronov, *The Mystery of the Tsebelda Valley*** – Voronov Y., *The Mystery of the Tsebelda Valley*, Moscow, 1975).

Besik Lortkipanidze, Nikoloz Murgulia
Davit Lomitashvili, Nino Khutsishvili

The Ethnic Composition of Byzantine Military Units Stationed in Lazika: Evidence from New Archaeological Data

Summary

In 2019, during excavations near the main gate of the Nokalakevi settlement, a fragment of a two-part belt buckle (Fig. 1) was uncovered in an early medieval cultural layer beneath 6th-century steps. The artifact preserves only the section intended for attachment to leather; the tongue and locking mechanism are missing (Fig. 2).

The preserved part of the buckle is rectangular in form, measuring 3.4 cm in height, 2.3 cm in width, and 0.4 cm in thickness. It is made of bronze and seems to have been gilded as traces of gold are visible along the edges. The buckle was decorated with colored glass inlays. The composition consists of nine sections, separated by bronze dividers, all framed by a rectangular, embossed border. The upper and lower two parts are rectangular. Though none of these parts show traces of glass. In the center, there is a rhombus-shaped inlay, surrounded by four triangular sections. Only one of these contains a dark red glass plate, while the remaining three empty triangular sections, with one showing a white residue, which is likely a trace of glue used to secure the glass. A similar residue is present inside one of the rectangular sections. This suggests that the glass was not poured into the sections but rather inserted and fixed with glue.

The buckle detail, outside the embossed frame, has three sides with 2 mm diameter holes. These holes were used to attach the buckle securely to a leather strap using metal pins. On the fourth side, there are two prongs for attaching a fastening ring.

The research revealed that a similar buckle is preserved at the Roman-Germanic Central Museum in Mainz. Renowned scholar Mechthild Schulze-Dörrlam includes this type of buckle in her well-known catalog "Byzantine Belt Buckles and Buckle Work at the Roman-Germanic Central Museum" classifying it as type C15 (oval buckles with rectangular bronze mounts inlaid with enamel). According to M. Schulze-Dörrlam, C15 type buckles have been found in Egypt, the Eastern Mediterranean (Syria, Palestine), the western Black Sea coast, Italy, Sicily, Germany, and France. She dates this type to the late 5th – early 6th centuries. M. Schulze-Dörrlam also proposes that because these buckles (gilded with glass inlays) were decorated with colored glass rather than precious stones, they likely did not belong to the imperial aristocracy of Byzantium but might have been used by high-ranking foreign individuals living and serving in the Byzantine Empire, such as the Ostrogoths. She bases this theory on specific tombs where Ostrogothic warriors were buried.

Naturally, the question arises: how this part of the buckle appeared in the early medieval layer of the Nokalakevi settlement?

As known, in the coastal cities and fortresses of Lazika, from the late 1st century onward, Roman and later Byzantine military units were stationed intermittently, depending on the changing nature of relations with Rome and Byzantium. As for the internal regions, the Byzantine army occasionally entered, for example, in the mid-5th century or between 527-531 AD. The Byzantine military presence in the cities of Egrisi (Lazika) increased significantly in the 530s, following the conclusion of the so-called "Eternal Peace" in 532 AD between Emperor Justinian I (527-565 AD) and the Persian king Khosrow I Anushirvan (531-579 AD). Distrusting the peace, Justinian, began preparations for war. He sent additional troops to Egrisi, where the Byzantines began strengthening cities and strongholds. The Emperor stationed garrisons in the cities and fortresses of Egrisi. During the Byzantine-Sassanid War (540-562 AD), a Byzantine force of approximately 3,000 men was stationed in the fortress of Archaeopolis. In the Byzantine army during this period, as in the earlier Roman army, the so-called "barbarian generals" played an important role. These military leaders included Armenians, Syrians, Thracians, Slavs, Germans (Herules, Goths, Gepids), and representatives from other ethnic groups.

In our opinion, the "Ostrogothic" buckle found in Nokalakevi likely belonged to a high-ranking member of the Byzantine army, probably a representative of one of the Germanic tribes (Ostrogoths, Herules, Gepids, etc.).

სურ. 1 (Fig. 1)

სურ. 2 (Fig. 2)

სურ. 3 (Fig. 3)



სურ. 4 (Fig. 4)

ილუსტრაციები

1. ნოქალაქევის ნაქალაქარის ქვედა ტერასის აეროფოტო. გამოვ-ლენილი ბალთის აღმოჩენის ადგილი (ავტორი: ივანე ყენია).
2. ნოქალაქევში აღმოჩენილი ორწილადი ბალთა (ავტორი: ნიკო-ლოზ მურღულია).
3. მცირე აზიაში აღმოჩენილი მსგავსი ბალთა (Schulze-Dörrlam, *Byzantinische Gürtelschnallen und Gürtelbeschläge*).
4. წებელდაში, ლარის სამარხში აღმოჩენილი ბალთა (Воронов, *Тайна Цебельдинской долины*).

Illustrations

1. Aerial photo of the site of Nokalakevi (author: Ivane Kenia).
2. Two-part belt buckle, discovered in Nokalakevi (author: Nikoloz Murgulia).
3. Similar belt buckle, discovered in Asia Minor (Schulze-Dörrlam, *Byzantine Belt Buckles and Belt Fittings*).
4. Belt buckle, discovered in Lari cemetery, Tsebelda (Voronov, *The Mystery of the Tsebelda Valley*).